Инв. № 11394

20 იანვარი. 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 23 ყოველკვირეული ჟურნალი № 23

„ნიშადურის“ რედაქცია ამით აუწყებს მკითხველებს და თანამშრომლებს, რომ დღეიდან ჟურნალი იბეჭდება „გუტენბერგის“ სტამბაში. გამოვა გასასყიდად ტფილისში ყოველ შაბათობით საღამოჟამს, ხოლო პროვინციაში კვირაობით.

წერილები, ფული და სხვა უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქტორ-გამომცემლის სახელზე ან წერა-კითხვის საზოგ. წიგნის მაღაზიაში, ან „გუტენბერგის“ სტამბაში, ან თვითონ რედაქციაში, Тифлисъ, Матиновская, № 9 – Валеріану Гуніа.

მიიღება ხელის მოწერა: წლიური ფასი 5 მან. ნახევარის წლით 3 მ. ახალ ხელის მომწერთ მიეცემა ყველა გამოსული ნომრები შარშანდელი წლისა და აგრეთვე „ნიშადურის“ კრებულიც.



ადამიანის გული! — სიმონეს ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის წერილი

(ამ ათი წლის წინედ, 1898 პირველ იანვრის, დაწერილი).

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვილოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვეხოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: „ოი, წამოს ხარულისავ, ესე სწრაფად სად წარხვიდი“! წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: მოვედინ, დღეო სიხარულისაო!.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუ თუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი... სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თვითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყლობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თვითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა ჰსხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს! რმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშურებია რა, არა დაუზოგვია-რა, არა დაუკლია-რა. თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, —ქრისტე ღმერთმა თვისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელით გვიჩვენებს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“, ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, ძთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა, სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გაძარი გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილებისამებრ. ვართ-კი ასეთნი!.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხეულია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პარქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით წელში გავსწორდით. გაუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრა!!.. დროჟამი ამას გვიქადის. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავულოცეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კეფელზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბეჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შეძუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ამ ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს სამართლიანის თავ-მოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას როგორც მძოვრი, როგორც ღეში! რად? რის-თვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შეეძელით და საკითხავად საჭიროა, —რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“. ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“, ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ. აღარაფრის მაქნისია. ეხლა ან ადლი უნდა გვიჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა-კი არ უნდა, რომ სისხლსა ჭღრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც ოფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცდელია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გიჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერ დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვ ნიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვ ნი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომასა და გარჯას ცოდნასა და ხერხს შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავეხვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ-კი ყოველ-იმისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოლიფვე ეს ვიცით და ვემზადებით? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს, და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა და, ვითარცა შრომა, პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავ-მოსაწონებელი, თავ გამოსაჩენი, როგორც უწინ ხმლისა და თოფის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, იტყოდა გლეხ-კაცი თავისებურად ზედ-გამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხ-კაცი! თვითონ დღევანდელი დღე ამას ჰლალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ლალადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით, რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ რანი ვართ, ვერ გამოგვისახია რანი ვიქნებით? ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზედ ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარ-მაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც-კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და ულონოდ ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ რომ ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ეხლო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გაოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთო?

უკანასკნელი ყვავილი — ბრონზეს ნახატი.

ამოუსვი ნიშადური.

—

ლესე! ‘ლესე’ ნიშადური!!
ვხედავ, ‘გობი აგივსია.
მოსცხე ყველას გაბედულად...
ამოუსვი ვინც ღირსია!!

—

საქართველოს მიწა-წყალი
ჩვენი სისხლით მორწყულია
და ზედ ჩვენი წინაპრები
მტრისგან მსხვერპლად დიკლულია.

—

დღეს კი უნდა, ვიდაც მოსულ’,
რომ ჩაიგდოს მუქთად ხელში!
ს ხლსა გვწოვს და სასიკვდილოდ
დანას გვაჭერს ცხადად ყელში.

—

ამას უნდა ნიშადური,
რომ აეწვას კუდის რიკი.
შვილად რას გამოადგება
ჩვენ ქვეყანას ბუში-ტ...?

—

ჩვენშიც გაჩნდენ აქა-იქა
თვისი ქვეყნის უმადური.
იძახიან: „სულ ერთია
გარეშე და შინაური!

—

გზა დაბნეულთ ლმერთადა სწამთ
მხოლოდ კუჭი, მხოლოდ პური!
და, აბა, მათ მოუხდებათ
ამ თავითვე ნიშადური.

—

ადრე მტრების მომგერებლად
ჩვენი დედა ზრდიდა შვილებს,
დღეს კი ყველა მტერს შეეხარის,
ღალინის და ღლრეკს კბილებს.

—

აბა, იმათ ამოუსვი...
მოუხდებათ ნიშედური,
რომ მით მაინც იგრძნონ რამე
ღა აეწვასო... ვითომ ყური!

—

გასაწყლდა და გაღარიბდა
ჩვენი ხალხი უბედური;
სანუგეშოდ დარჩენია
ერთი მხოლოდ ნიშადური.

—

და შენც, ჩვენო რედაქტორო,
გაუწიე სამსახური:
ლესე! ლესე გულ-მოდგინედ!!
მოსცხე ყველას ნიშადური!...

ს.-პეტერბურღი აკაკი.
იანვ. 908 წ.

დავიწყებული პოეზია

—

დღევანდელ ჩვენ ცხოვრებიდან თითქმის სავსებით განდევნილია ადამიანის სულის წარმტაცი მადალი პოეზია. ეკალა შეფოთავს, ეკალა ცხოვრების გასაკრეველს, თავისუფლებისაკენ გზის გახსნას სტიქიობს და სიდერა-ბალობისთვის, რასაკვირველია, არავის არა სცალია. მწარლობასა და ცხოვრებაში გამეფებულია მშრალი, მებრძოლი კილო. ზოგჯერ მუსიკის საამო ჰანგს, ან გრძნობით წაკითხულ ლექსს ყურს რომ მოკრავთ ხოლმე, უცნაურ გუნებაზე ვდგებით. ჩვენ აშფოთებულ გულში თითქო დღემდის უხილავისა და მზის შუქით სავსე ქვეყნიდან უეცრად ციური ფრთოსანი შემოფრინდა, ფრთა გაკრა და სანეტარად აძგერა.

სწორედ ასეთი გრძნობა შეუფლა წუხელის, როცა ერთ ნაცნობ ოჯახში დამკვრელ დასახლებისას აზრით მუსიკას უსმენდი.

მწუობრთ შეთანხმებული უბრალო ხმებით დამკვრელმა ითტის წამისად დამაგიწყა დღევანდელი ჩვენი სავალალო ეოფა-ცხოვრება, თითქო სამუდამოდ შავ-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარ გადაფარებულისა და უხიდავ ქვეყნის ერთ კუნჭულს ფარდა აჭხადა და სულიერი ბედნიერება მაგრძნობინა.

ბევრი ბრძენი დრმად დფიქრებულა მუსიკის, სიმღერის და პოეზიის მნიშვნელობისა და შინაარსის ასახსნელად; ბევრი სიგულისხმო ამბები გაუზიარებიათ ჩვენთვის, მაგრამ თვითეული ჩვენგანი დღესაც გრძნობს, რომ მუსიკისა და პოეზიის არსებით მნიშვნელობისა და შინაარსის შეგნება და სიტყვებით გამოსახვა ისევე შეუძლებელია, როგორც უძირო და თავდ უწყენი ზღვის შინაარსის შეგნება და გამოსახვა.

პოეტმა ჭენრიხ ჭეინემ სთქვა, ადამიანის გულ დრმა ოკეანეა, რომლის ძირში ხშირად ჩვენთვის უხილავად მრავალი ძვირფასი მარგალიტი ინახება.

ეს ჭეშმარიტება გამახსენდა წუხელის, როცა მუსიკის ხმებს სულ-განაბული უსმენდი.

მუსიკა, ისევე როგორც პოეზია, ადამიანის გულში ამ საიდუმლო მარგალიტების ადმოამჩენია.

სანამ მუსიკის ხმები გაისმოდა, უველანი დ'ფგრემილები ვიუავით. წვრიმად ზრუნვებსა და დავიდარაბაში დახარჯული მთელი დღის მოგონებამ დანისდა და სევდა მოჭფინა ჩვენ გულს. დილას ჩვეულებრივად უველანი იმედით სავსე ჭაბუკებს ვგეგავრთ, საღამოს კი სასოწარკვეთილ მოხუცებს.

გაისმა თუ არა მუსიკის ხმები, მსწრაფლ ისევ აუავდა ჩვენ გულში ეს ჭაბუკი იმედი. მკეთრად ვიგრძენით, რომ ჩვენი ადამიანური სულის საღრმეში უველასთვის საკმო სანეტარო განძი ინახება, რომელსაც უოველ დღეურ ფუჭი უშინაარსო ბრძოლით ჩვენ თვითონვე ტალახში ვთელავთ; ვიგრძენით რომ ჩვენზე იგივე ითქმის, რაც ქრისტემ თავის მოწაფეებს უთხრა: „არ იცით, თუ რომელი სულასანი ხართო“.

მხოლოდ დრო-გამოშვებით, როცა ფრთოსანი ჭანგი გულში შემოგვიფრინდება და სასეტარად აძგერებს, უეცრად გაგვიმხელს ხოლმე ჩვენ მადლ დანიშნულებას. მაშინ მწარედ გვებრალება ჩვენი თავი. უცნაური ძალა გვეუფლება. მკეთრად ვგრძნობთ, თუ რის შემძლეა ჩვენი ადამიანური გული: იმ წამს მთელის ჩვენის არსებით გვესმის, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება—მხოლოდ ამ ჩვენის საკუთარ სულის საუნჯის განთავისუფლებას ნიშნავს.

ი. ნაკაშიძე.

ვინა სთქვა საქართველოზე?...

ვინა სთქვა საქართველოზე:
ეგ არის ლომი კვდებაო,
ჩაუხტა ბედის ვარსკვლავი,
ცაზედ მოვარეცა ჰქრებაო?
თვალთამც დაგზარვენ ყორანნი,
გამოგრდი ქართლის დედაო!
ბევრმა გიკრიჭა კბილები,
ბევრმა იუბნა ესაო,
ბევრმა გვითვალა მუქარა,
ბევრმა ფრანგული ლესაო,
ცუდად წაუხდათ ქადილი—
ვერა დააკლეს მგელსაო:
წიწილნი წამოეზარდნენ
მხრები აისხეს ღელესაო!
ხელი მოვკიდოთ აბჯარსა,
ერთად შევიკრნეთ ძალები,
წავიდეთ მტერზედ რისხვითა,
თოფებს ვუპიროთ ტალები.
დეე, სულ გავწყდეთ, ნუ გეშინ'თ,
დაე, დანაცრდნენ მკლავები.
დედანი დაგვიტირებენ,
ცრემლებს დაღვრიან ქალები,
საფლავთ არ შეძრწუნდებიან
ჩვენთა წინაპართ ძვალები!

ბ.ჩ.ნა.

მიტინგი — მარია ბაშკირცევის ნახატი.

სცენა

(ფშავლების ცხოვრებიდან).

ფშაველს გამიხარდის ვაჟი შვილი ეყოლა. ნაცნობი და ნათესავი კაცი თუ დედა-კაცი ვინც-კი პირველად შეხვდა, ყველა ასე ულოცავდა, გამარჯვება-გაგიმარჯოს და ამბის კითხვის შემდეგ: „გამიხარდი, ბიჭი გყოლებია. მიამა ღმერთმა ხო იცის, როგორც გაჩენით გაგალაღა, ისე გაზდით გაგალაღოსო“—თქვენც გვახილოსო—უპასუხებდა მამა ახლად დაბადებულისა.

ვინა სთქვა საქართველოზე?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებულს, უწყით კარგად, მონათვლაც უნდა. მაშასადამე საზრუნავი თავდაპირველად ნათლიაა. გამიხარდიმ და მისმა ცოლმა მელანიამ მოილაპარაკეს ვინ აერჩიათ ნათლიად.

— მაღალ ხიზანა. წარმოსთქვა გამიხარდიმ:— ჩემსავით ძროხა კაცია, სად გამოვეკიდო—მე ალიან ჩალიანს და დიდს ჩირთი-ფურთებს. ვისა აქვს იმის თავი? ღურბელნატარს დავპატიჯო, ის ნათლიად არ მამივა. ცოლიც დაეთანხმა.

შეუდგნენ ნათლობის სამზადისს. გამოხადეს არაყი ერთი ქვაბი, რა თქმა უნდა, ნამკუდებისა, რადგან თავ ანკარ პურს არაყისათვის ჭკვათა მყოფელი კაცი არ დაეხარჯავს. მელანიამ კეცში გამოაცხო სამი თუ ოთხი ხმიანდი. ბევრი სამზადისი არც საჭირო იყო, მკვდარს ხრმ არა ჰმარხავდენ, ნათლობა ჰქონდათ. ყველისა და ხაჭოსათვის მეზობლებთან არ უნდოდათ წასვლა და ხორციც შინა ჰქონდათ—ყალი, ერთი წლის გამხმარი ხორცი ბოლში გამოსული, კურდღლის სისხლივით წითელი. ეს იმათთვის ვინც „იმისთანა-ამისთანა იქნებოდა“, ხოლო მამალი უნდა დაეკლათ მღვდლისა და დიაკვნისთვის. ეს იყო მთელი სანათლობო სამზადისი.

გამიხარდიმ შეატყობინა მღვდელ-დიაკონს, მოიწვია ნათლია. კვირა დღე იყო. მოვიდა ნათლია თავის ბანჯღვლიანის ქუდით და, რასაკვირველია, გაქონილის ტყავით...

მოამზადეს დიდი ხონა (ბაკანი) ჩაასხეს შიგ წყალი. დაიყენა მღვდელმა ნათლია გვერდით და შეუდგა წესის ასრულებას, ხოლო ნათლია ასე დაარიგა; „ნათლიავ, ხიზანავ, სთქვი ისა, რაც მე ვსთქვა, არც მეტი, არც ნაკლები, ხომ გესმის?“

— მესმის, მამაო! მიუგო ხიზანამ.

— კარგი, მაშ დავიწყოთ... განაგდებ სატანასა! წარმოსთქვა მღვდელმა და თან დააყოლა: „სთქვი,-განვაგდებო“...

— განვაგდებ.

— ვიჯმნი ეშმაკისაგან.

— „მიჯე ეშმაკისაგან.

— გიჟია ეს მამა ძაღლი?!

— „გიჟია ეს მამაძაღლი?!...

— მე რას ვამბობ?

— „მე რას ვამბობ?

— დასწყევლა ღმერთმა!

— „დასწყევლა ღმერთმა!

— გააგდეთ ეს მამაძაღლი.

— „გააგდეთ ეს მამაძაღლი.

— გიჟი რად გინდოდათ რომ მოგყვანდათ?...

— „გიჟი რად გინდოდათ რომ მოგყვანდათ?.

— დიაკონო, სადა ხარ?

— „დიაკონო სადა ხარ.

— დიაკვანო, გააგდე!

— „დიაკვანო, გააგდე!

— არ გესმის მე რას ვამბობ?

— „არ გესმის მე რას ვამბობ?

— ღმერთო, შენ შამიწყალე.

— „ღმერთო, შენ შამიწყალე.

— ფუჰ, შენს თავსა და ტანსა!

— „ფუჰ, შენს თავსა და ტანსა!...

ნათლობა შესრულდა.

(ფარდა)

ვაჟა-ფშაველა.

პირველ იანვარს

(ვუძღვნი მემედბეგ აბაშიძეს)

დღევანდელ დღეს ძველთა დროში
ხოტბა შესხმა იყო ხშირი...
დროთა ბრუნვამ დაგვაშორა—
მით დაგვადგა გასაჭირი.
ერთ სისხლ ხორცნი, ნათესავნი
დაგვაყენა შორი-შორად...
რჯულით გაგვყო, მაგრამ გულით
დღესაცა ვართ თანასწორად!
მაშ მიიღე შენის დისგან
მცირე ძღვენი ჩვენებურად,
გთხოვ მიგულო ნათესავად,
ისევ ისე ძველებურად!..

ნინო სვ. აბაშიძეს ასული
ჯამბაკურიან-ორბელიანისა

მერძევე

(არაკი)

მერძევე ქალაქს მიდიოდა და თან სარძევით რძე მიჰქონდა გასასყიდად. სიარულით დაღალული გზის პირს ჩამოჯდა, სარძევე წინ დაიდგა და თავი ფიქრებს მისცა.

— გავყიდი ამ რძესა, ვიყიდი დედალსა, დედალი დამიზრდის ვარიებსა. გავყიდი ვარიებსა, ვიყიდი ინდაურსა, ინდაურის ჭუკებსაც დავყიდი და ერთ კაი ღორს ვიყიდი. ღორი მოიგებს გოჭებსა, რომ მოიზრდებიან, გავყიდი და ერთ კაი ხარს ვიყიდი. შევაბამ ურემში და ჰაამო!...

მოიქნია სახრე, ჰკრა სარძევეს და წააქცია. ეს რომ ნახა მერძევემ, თავში წაიშინა: „ვაი შენ ჩემო თავო, აკი პაპი ჩემის ამბავი მეც დამემართაო!“ —მაგრამ სარძევე თუნუქისა იყო, პირს ჩვარი მაგრა ეცო, ასე რომ არც ჭურჭელი გამტყდარიყო არც რძე დაქცეულიყო.

მერძევემ რომ გული დაიმშვიდა, წამოავლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარძევეს ხელი და გასწია ქალაქისკენ. ქალაქში რძე კაი ფასად გაყიდა, ფული ჯიბეში ჩაიჩხრიალა და სთქვა: „ახლა კი ვერსად წამიხვალთ გოჭებო, ინდაურებოო!“

შინისკენ წამოსულს ქალაქის პირს ნათლიმამა შეხვდა, დიდი ხნის უნახავი და გაუხარდა. მოიპატიჟა: „მობძანდი, ნათლიმამ, ერთი ჩარექი ღვინო დავლიოთო“. ჩავიდნენ მიკიტანხანაში, მიუსხდნენ ნუნუას, გადახუხეს. მერძევეს სულმა წასძლია, ღვინოს სადილი მოაყოლა და ზედ ორიოდე ჩარექი კიდევ.

რომ გაათავეს, წამოვიდა მერძევე თავის ნათლიმამით ნაპმევი, ნასმევი და ხელ-ცარიელი. გზაში ისევ გოჭები და ინდაურები მოაგონდა. ნანვა დაიწყო და თავისი დარდი ნათლიმამას უამბო. ნათლიმამამ ნუგეში სცა:

— სხვამ რაც უნდა სთქვას, სვინაო, მე კი შენი ჭკუა პაპი შენის ჭკუას მირჩევნია. ცხონებულმა რძეც დააქცია და იმოდენი საქონელიც დაჰკარგა. შენ კი თუ გოჭები და ინდაურები არ შეგძენია, ეგ მუცელი ხომ მაინც ამოივსე. დაიცა, შვილოსან, იქნება შენმა შვილებმა კი ვერა და შენი შვილის შვილები კი უეჭველია რძის ფულით გოჭებსაც მოაშენებენ, ინდაურებსაცა და ხარებსაც.

—

პროგრესი თურმე მაგასა ჰქვიან, მკითხველო.

რიშ ბაბა.

* * *

გაკაჟდა გული! გამწარდა სული!
რის პატივება, რის სიბრალული?!
დეე, გადიქცეს ნიავ-ღვარათა
ხალხის ცრემლი და იმისი წყლული!

* * *

კვნესა ქალაქში, ვაება სოფლათ...
კმარა, ოხ, კმარა მძალვრთ უკმეხობა,
დე, დაჰკრას ტალღამ, გვწამდეს ზვირთებში
ჩვენი ჯალათი ამოიღრჩობა!

* * *

გაკაჟდა გული! გამწარდა სული!
ქურუმთ მივენდოთ დიდ მოძღვრის მცნება,
ეს იყოს ტალღა უკანასკნელი!...
სიკვდილი მტერსა... ხალხს გამარჯვება!

ი. ევდოშვილი.

დაკვირვება

—

(სიბრძნე-სიცრუვის წიგნიდან.)

სამი მგზავრი მიდიოდა ფეხით; გზაში აქლემის ნაფეხური ჰნახეს. ამათ შეხვდათ აქლემის პატრონი და ჰკითხა:

— აქლემი დამეკარგა, ხომ არ გინახავთო?

— ცალ-თვალა აქლემი შენიაო, ერთმა ჰკითხა.

— ჰო, სწორეთ, ჩემია ცალ-თვალა აქლემი, მარჯვენა თვალი გამოთხრილი აქვსო.

— ხურჯინით რომ თაფლი და ერბო ეკიდა, შენი აქლემიაო, ჰკითხა მეორემ.

— ზედ ორსული დედა-კაცი იჯდა და მარცხენა ხელზე შუა თითი არა აქვსო, უთხრა მესამემ.

— სწორეთ ჩემია, გინახავთ აქლემი და მითხარით საით წავიდაო, ჰკითხა პატრონმა.

— აი ამ ბილიკზედ ვნახეთ იმისი ნაფეხური, უპასუხეს სამივემ.

წავიდა პატრონი საძებნელად, მაგრამ ვერ იპოვნა, დაბრუნდა, დაეწია მგზავრებს და მუქარით აქლემი მოსთხოვა.

— თვალითაც არ გვინახავსო, ამათ უპასუხეს

— როგორ თუ არ გინახავთ, ამბობთ ბრმა აქლემია. ორსული დედა-კაცი ზედ იჯდა, მარცხენა ხელზედ ერთი თითი აკლიაო, ხურჯინით თაფლი და ერბო ეკიდაო და ამბობთ: არ გვინახავსო?!... არა, წამოდით ახლავე მეფესთან, სამართალს ის მოგვცემს!

წაიყვანა მეაქლემემ მეფესთან ეს სამივე მგზავრი და ზესჩივლა: აქლემი მომპარეს და გადაახდევინეო.

სამივემ ფიცი დაიწყეს—არ გვინახავს, არა ვიცით რაო და რა აქლემის პატრონს მოუსმინა და გამოკითხა მეფემ, ამათ ისევე ისე მოახსენეს, როგორც აქლემის პატრონს.

— რა იცი, რომ აქლემი ცალ-თვალა იყოვო, ჰკითხა მეფემ პირველსა.

— იმითი ვიცი, რომ აქლემის მარცხნივ ნაფეხურზე ბალახი მოჭმული იყო და მარჯვნივ კი არა, მაშ აქლემი იმ ბალახსა სძოვდა, რომელსაც მ რცხენა თვალით ჰხედავდაო.

გაუკვირდა მეფეს ეს პასუხი.

მეორეს რომ ჰკითხა მეფემ: რა იცი, რომ თაფლი და ერბო ეკიდაო, ამან უპასუხა:

— გზაზე თაფლი და ერბო სწვეთავდა, მარცხნივ თაფლს ფუტკარი ეხვია, მარჯვნივ კი—ჭიანჭველაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯნურის მოლოდინში — გერა კუმენსის ნახატი.

ამ პასუხმაც გააკვირვა მეფე.

მესამეს რომ ჰკითხა მეფემ: რა იცი რომ ორსული ქალი იჯდა აქლემზედ და მარცხენა ხელზედ ერთი თითი აკლდაო, ამან სოახსენა:

— გზაში ერთ ალაგას წყლის ინკარა გუბეა, იმ გუბეს დაეწაფა ქალი მუცელზედ განართხული, ქვიშა ჩატკეპნილი იყო მუცლით და მარცხნივ ოთხი თითი, მარჯვნივ-კი ხუთი იყო გამოხატულიო.

ამ პასუხმა გაანცვიფრა მეფე და უფრო მეტად იმან, რომ ამ სამს მგზავრს რა დაკვირვების ნიჭი და უნარი ჰქონიათ.

ამისთანა ნიჭი რომ ჰქონოდათ ზოგს ჩვენებურ გამომძიებლებს ან პარტიის წევრებს, დარწმუნებული ვარ, მალე იპოვნიდნენ ჩვენი დიდებული მგოსნის ილია ჭავჭავაძის მკვლელებს!...

პუტრიკა.

ამონაკვნესი

—

ღარიბ-ღატაკებს, მშრომელ მუშებსა
მეტ ტანჯვისაგან ცრემლი სდიოდა;
და მათთან ერთად, ღონე მიხდილი,
მათი ცოლშვილი ბედს დასტიროდა!

და ასე იყო ყოველ დღე-ღამეს,
სიცილ-ხარხარი არსით ისმოდა;
მუდამ ტირილი, მუდამ წუხილი,
ოხვრა და კვნესა კვლავ გაისმოდა!

ქვეყნის ძლიერებს, ხალხის მჩაგვრელებს
— ოვისი ცოლშვილი მოერთოთ კოხტათ;
ძვირფასს ფარჩებში ჩაფლულს ბურჟუებს,
ლხინი-ნადიმი კვლავ გაემართათ!

და როს ვნახე მე მდიდართ მეჯლისი,
მუშათა ტანჯვა, მაშვრალთ მოთქმანი,
სევდამ მომიცვა.... უსამართლობის
თან ჩაეწვეთა გულს კაეშანი!

ლადო გე—რი.



ძუნწის აღსასრული — ციმერმანის ნახატი.

* * *

გაკაჟებული გული-გონება
ოცნების ქსელში გაბნეულია,
წარსულსა სწყევლის, მომავლისათვის
ვით კელეპტარი ანთებულია.

დაბეჩავებულს საბრალო მხარეს
ზედ დატრიალებს, თავზე ევლება,
ჯალათთა ბანაკს შხამსა ულესავს,
მოძმე-მეგობრებს ენაცვალება.

უსამართლობის წარვიდნენ დღენი;
დაისადგურა ახალმა წელმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლის დროშა მაღლა აღმართა
თავისუფლების მაძიებელმა.
არ შეუდრკება მტარვალთ მუქარას,
როს ახალისებს ძმობა-ერთობა,
და ძალადობა სისხლით მოსვრილი,
სულ განაბული ძირს დაემხობა!

ნეღიკო.



ვაი რა ძნელი ყოფილა იმედის გაცრუებაო,
ექვსის პურით ექვს ათასი აროდეს გამოძღებაო!

ვითა დემონი

—

ვითა დემონი განრისხებული
ვიდექ მარტოკა სალსა კლდეზედა
და სიმაღლიდან ნათლად ვხედავდი
რაცა ჰხდებოდა ქვეყანაზედა!
იქ, მთების ძირში ძმა ძმას არჩობდა,
შვილი მშობელსა აღარ ინდობდა;
თუ სატრფო საქმროს უალერსებდა
იმ დროს ცბიერი ღალატს ფიქრობდა!..
ძლიერი უძლურს ფეხქვეშ სთელავდა,
მართალს არჩობდა ბრბო უგუნური:
და შეგობრებში ისმოდა მხოლოდ
სიცილ-ხარხარი ფარისეველური!
ერთი მეორეს საფლავს უთხრიდა,
აღმართულიყო წამების ჯვარი;
ავაზაკობას, ბარბაროსობას
ქვეყნად არ ჰქონდა ბოლო-საზღვარი!
თაყვანსა სცემდნენ წუმპე-ნაგავსა,
უგნურის წინა ქედსა იხრიდნენ;
წმინდა იდეალს, სამშობლო ენას
ტლანქი ფეხებით ტალახში ჰსვრიდნენ!
უვიცს ნასწავლად თავი მოჰქონდა,
ყბედი ბრძენს ურცხვად სულელს უძახდა;
და ყველა ერთად თვით არარანი
სხვის არსებობას ჰგმობდა ჰაიცხავდა!
გამშრალი სული, გამოფიტული
ცის სიწმინდესა ვერა სწვდებოდა;
თვალ ხილულ ბრმასა რაღაც ჰსურდა
და კლდეს საბრალოდ ეხეთქებოდა!
სისხლი, სულ სისხლი და ბოროტება,
მშვიდი სიცოცხლე მოშხამულიყო;
მშრომელი ხალხი, ქვეყნის მკვებელი
მძიმე ღელ ქვეშ დაჩაგრულიყო!
ადამიანის სახე არ ჰქონდა,
მკერდზედ საბრალოს სისხლი სდიოდა,
თვალცრემლიანი, შუბლ შეჭმუხვნილი
თვის ოხერი-ტიალს ბედსა სჩიოდა!..

—

და რა ვიხილე ეს სანახავი
თვალს წამოადგა ცრემლთ ნაკადული;
ვსთქვი თუ სოფელი დასაკმობია
და თანაც ვიგრძენ გულს სიბრალული!

მეტეხის ციხე ა. შ—ლი.

გმირი შეკრთა, მიაშტერა საიდუმლო სიტყვებს თვალი,
სჩანს ცენტრალისტს გულს უღონებს სიმართლე და სამართალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყვეტი.

—

ნუ მიჭერ ხელსა, დედიდო,
მეც მათთან მივეშურები,
ჭხედავ, რაფერად წკრიალობს
მათი ფარი და შუბები?

იქ ბრძოლა არის! დე მათთან
მეც მოვკვდე, სისხლი დავღვარო,
უნდა მოამაგალს ვაგემოთ
თავისუფლების ჩვენ წყარო.

ხალხის ვართ, დედი, ხალხთან ვართ,
ხალხთან სულ მუდამ გვიგდია,
ჩემში შენ აბა რას კარგავ,
რას უგელა შენი შვილია?!

მაშ ნუღარ მიჭერ! ჭხედავ, იქ
დასტეს განგაშით ეკუნა,
დედი, მშვიდობით!.. ვაშა მას
ვინც ბრძოლად თავი იჩინა!..

—

შავად ჩაცმული საბრალო
დედა ზის კვნებ გაშლილი
და სტირის მწარედ: წინ უძევს
გულგაგრძელული მას შვილი.

კასრა

მოლოდინი

(ელეგია)

ბნელით მოცული უკუნი ღამე,
ოჰ, რა ხანგრძლივი, გულშემზარია!
არე დამწუხრდა, სული განაბა;
არ საიდან ხმა. სჩანს ზამთარია.

* *
*

ვერ ვხედავ მოძმეს, ვგრძნობ სიმარტოვეს,
ალარ შორდება გულს კაეშანი.
ველით გაზაფხულს, სიცოცხლის მომტანს,
ღმერთო გვაღირსე დილა მზიანი!

დე—კა.

რის სიმღერა?!..

(ვუძღვნი გ. ახალციხელს).

რით ვიმღერო, როდესაც რომ
მთა სტირის და ბარი მოსთქვამს
და უმანკო მოძმეთა სისხლს
ყვავ-ყორანი ჩემ თვალთ წინ სვამს?!..
რისი მღერა?!.. ხალხის მტერი
დორბლებსა ჭყრის, გადირია;
უსუსურთაც ალარ ინდობს,
ცეცხლ-მახვილით დარევია...
აქ გმირები იხოცება,
ეგერ გვეწვის სახლი-კარი
და მე ამ დროს ავაყღერო
მოსალხენად ჩემი ქნარი?!

იქ დედა შვილს მოსთქვამს, სტირის...
აგერ სატრფო მეგობარსა
და მე ამ დროს მოვილხინო,
ვუღიღინო მთა და ბარსა?!

არა... მღერას თვისი დრო აქვს;
მეთანხმებით თქვენც ამაში.—
ვის უნახავს, რომ ბულბული,
ტკბილად სტვენდეს ცივ ზამთარში?!.

ტირილითაც ვერ ვიტირებ:
ჭირს ცრემლები არას არგებს;
იგი მხოლოდ მოსისხლე მტერს
მოალხენს და გაახარებს...

მაშ არც მღერა, არც ცრემლები—
არ შეჰფერის ამ შავ-ბნელ დღეს;
ბრძოლისათვის მოვემზადოთ,
ბრძოლით გავსცეთ პასუხი მტერს!..

1908 წ. პეტრე მ—იანი.

ძაღლი და თავისუფლება.

ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის!..

მაგრამ როცა ხვადი ძაღლი კბენას დაიწყებს, მას პირზედ მავთულისაგან დაწნულ მუხრუჭს გაუკეთებენ ხოლმე, რომ გამვლელ გამომვლელი არ დაგლიჯოს?!.

ეს საშუალება დიახაც ჰუმანიურია!

ასე თვით ადამიანებსაც კი არ ეპყრობიან!.

საკვარისია ცოტა რამ დააშავო, რომ საპყრობილეში გიკრან თავი!.. ძაღლს თავისუფალსა სტოვებენ, მხოლოდ კბენის საშუალებას უსპობენ!..

ადამიანებს ტყუილ-უბრალოდა ჰხოცავენ, ცივ ქვეყნებში ჰგზავნიან, და საარჩობელაზედ აჰყავთ. ძაღლებს კი მხოლოდ ცოფიანებსა ჰხოცავენ!

ჰაი, ჰაი რომ დღეს ძაღლი ბედნიერია ადამიანზედ!

ის თავისუფლად მაინც დაჰყეფავს და ადამიანი კი...

აი თუნდა „ეშმაკი“ როგორ თავისუფლადა ჰყეფავს?!

განა „ეშმაკი“ ძაღლი არ არის?

ოღონდაც ძაღლია, ესდეკების დაგეშილი ძაღლი, რომელიც მეტი ეფექტისა და ზეიმ-ზარისათვის თავის თავს „ეშმაკს“ ეძახის.

ბედნიერია ეშმაკი, რადგან იგი თავისუფლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყეფავს და არც მუხრუჭს აკრავენ „გოშპარ ნიკაპა“ სახეზე!

ადამიანი კი უბედურია.

ათასში ერთხელ თუ ამოსცხებენ ხოლმე ნიშადურს კუდის რიკში და მაშინ საცოდავად წმუკუნს მოყვება.

მას მშვიდსა და კეთილს ყველგან სდევნიან ძაღლებს კი მხოლოდ ცოფიანებსა ჰხოცავენ!

ის—არი.

შუხუთი ახალი სენი. როგორც გვესმის, „ნიშადურს“—გარდა იმისა რომ სწვავს და სდაგავს სატკივარს და თავ-ბრუდახვეულ ადამიანს აფხიზლებს და მოგონიერების შემდეგ რეალურ აზროვნების გზაზე აყენებს,—ერთიც საუცხოვო თვისება ჰქონია კიდევ: ის ღებარი წამალი ყოფილა ფანატიზმის სულროსი.

რახან ამ შუხუთშიაც ძალზე გავრცელებულია ხსენებული სურდო, მეტი არ იქნება, ეროი საგრძნობელათ უხჩოლოთ ექაურ „ერთად ერთ სოციალისტებს“, რადგანაც ყველაზე უფრო მაგათ აქვთ მოდებული ეს ავადმყოფობა და ხშირად არა სასურველ გარემოებას ჰქმნის. საკმარისია სხვა რომელიმე პარტიის კაცმა გზათ გაიაროს მხოლოდ, რომ ასტყდეს ერთი განგაში „არიქეთ ფრთხილად იყავით, არ შემოგვეპაროს ვინმე სხვა პარტიის კაცი და არ შეანძრიოს ჩვენი საბრძანებელი ტახტრო“!

დემაგოგიის ფაბრიკაციით, ხომ მოგეხსენებათ, განთქმულია ეს-დეკური პ რტია და ამის მიზეზი ეს ჯანდაბა „ფანატიზმის სურდოა“ და რაც შეიძლება მალე და საჩქაროდ უნდა შველა, თორემ თუ სურდო მოერიათ გამოფიტული გოგრის ანთებას ვერ გადარჩებიან და მაშინ ჩვენც შეგვაწუხებენ და თავიანთ თავს ხომ გაითახსირებენ.

Котикъ.

მტარვალებს.

—

რაც გინდ სასტიკად გვტანჯოთ, გვაწამოთ,
გულს გაგვიყაროთ ბასრი ჩანგლები,
ნუ, ნუ გგონიათ, რომ ამოგლიჯოთ
ჩვენის გულიდან წმინდა გრძნობები.

—

ვიცით გწყურიანთ თქვე მტარვალებო
წინააღუდგეთ ჩვენს მოქმედებას,
მაგრამ იცოდეთ, მანამ ვიბრძოლებთ,
სანამ არ ვპოვებთ თავისუფლებას!

ალ. ჩახუნაშვილი.

მ ი ლ ო ც ვ ა

ძალიან მსურს—ამ ახალ წელს
ყველას შევხვდე ტკბილეულით,
ახალი რამ მივულოცო,
გავახარო ყველა გულით.
მაგრამ ბოდიშს გამოვითხოვ—
ერთობ გაძვირდა შაქარი!
სუყველას რო ჩავუტკბილო,
არ მაქვს ამისი სახსარი!
ბევრიც მქონოდა შაქარი,
არც მივაწვდიდი ყველასა:—
დ ი დ ებ ს გულს დააზიდებდა
და აუტეხდა ხველასა.
ამათ მოგეზრებული აქვთ
გემრიელი ტკბილეული...
მ ც ი რ ე თ ა თ ვ ი ს საჭიროა
ასეთი რამ ხილეული.
და მიტომაც ამ ახალს წელს
ვერ მოვიგებ ყველას გულსა:
შხამით დიდებს მივულოცავ,
ტკბილეულით—დაჩაგრულსა,
დე, ჩაგრულმა ერთ დღეს მაინც
პირი ჩაიგემრიელოს!
ამ ახალს წელს მათ ვულოცავ.
შევსვამ იმათს სადღეგრძელოს!!

თიმა პუსა.

ერთი დღე ფოთსა და სამტრედიაში.

—

გიახელით ფოთებს. ძაან დარები კი დგას ღვთის წინაშე, მაგრამ ქალაქი თითქოს საღათას ძილს ჩაუნთქავს, არც სიცოცხლე, არც ხალხი, არც ვაჭრობა, მაგრამ არა,—მეეტლეებს დიდი „ბრჟა“ აქვსთ; არ ვიცი ნიხრს „უპრავა“ ადგენს თუ თვით მეეტლეები ქმნიან. ორი აბაზის მაგიერ საღგურამდე მანეთს ღებულობენ—არა უშავს მდიდრებისათვის!

ეხლა გასართობი. ქართული წარმოდგენა იყო. დასი თამაშობდა თეატრი სტიროდა (როგორც ქუთაისის დრამის დროს ბათუმში). მეორე დღეს ბ. ვასაძემ კაფე-შანტან-კონცერტი გამართა. სავსე იყო ქართველობით, მაგრამ პირველ განყოფილებაზედვე გაისმა პარტერში „долой!“ „жесть!“. და სხვა... საზოგადოება დემონსტრატიულად დაიშალა. კასსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყების თანავე გაქრა. ესეც შენი ფოთი—არა უკაცრავად—ეს დეკ-ბურგი. (ვითომ??).

გადავედი სამტრედიას.

როგორც დაბას არა უშავს გაბუნიას ხელში, რომელიც იძახის, გავასწორეთ! არ ვიცი როგორ დაემართა, რომ მიმინოშვილი და გოგია ვერ გაუსწორებია (მაგრამ უკაცრავად ესენი „ოტჩუჟდენიას“ ეკუთვნიანე მე როგორც გამოცდილი ექიმი გამოუწერე: ამოსცხონ $27^1/_2$ ჯერ concentrè „ნიშადური“...

ექიმი უწყინარიძე.

ძველი რომის ქალი.—ზიხეულის ნახატი.

დიდებულ სერვანტეს

წერილი ქუთაისიდან

დიდებულო სერვანტეს, მიწერები? რასაკვირველია კამიწერები, რამდენი ხანია ადრეთვერი მოშიწერია. ვიცი დიდებულო, შენც მიწერები და, წარმოიდგინე, „ნიშადურის“ რედაქტორიც! თომა ბუსამ მითხრა: ჩქარა ნიშადური ამოუსვი, თორემ შენ ამოგცხებენო

რა ვქნა დიდებულო სერვანტეს, შობის მარხვაში, ლობიოს ჯამამ ძალიერ დამასუსტა და ცხვირი ამატკივა. მივმართე ქუთათურ ჯეუფს, ბატრა სისუსტის წამალი გთხოვე, მაგრამ ასე შემომითვალეს: „ეხრეუწუწენსის წამალი ბრასა და ნიახურიო“.

ვეფრინე კაცი ოკრიბას, მაგრამ ექიმ-ბურგ ამას წინათ მოგწერეთ, ქართული უვეალს დავიწყებია და ჩემს კაცს იმათი ენა სრულებით ვერ გაეგო. „ქვეყანას-დიდს გვატლინკა ჯორდანომ“. ჯორის ტლინკებივით დაუარეს ჩემს გაგზავნილს კაცს.

მერე რადა დაავიწყეთ ქართული? სწორეთ იმ დროს, როცა უვიც ადეპტებს თავიანთ ენა წულიან ბატონისაგან მანიფესტი მიიღეს შემდეგის შინაარსით: ავტონომია და ქართული ენა ბრიგრამაში გვიწერია. ასე, დიდებულო სერვანტეს! ამ—მარტო ჯეუამ—ქარის წისქვილი ერთი შეტევით აიღო და მტრებს ბრანწი დაუარა, ავტონომია გახუხეთ და ისე მიგთვითო! და ეხლა კი ავტონომია ბრიგრამაში გვიწერია.

სწორედ ამაზედა სთქვა ჩვენმა აკაკემ, „წ დმას უკეღმა, უკუდმას წ ადმა, დროს შესიფერათ, ვირის ნადივით დაატრიალებსო“.

ტოტა არ იუვეს, ბატონო სერვანტეს, სანჩო-ბანჩომ კი უდალატა, რაცა თავის სალოკი თითი შუბიეთ ამართა და ბოდონელებს შეუტია, თქვენ ავტონომიას ვერ ეღირსებითო, მაგრამ არ ვიცი, დიდებულო სერვანტეს, დონ-ჯორდანო-ბრუნო გამოვიდა ქვეყანა თუ დონ კარლოს-სანჩო გაუწერა ქვეყანა!

დიახ, ეს ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ მე რომ უვიცი ადეპტი ვიყო ასე მოვახსენებდი ჯორდანო-ბრუნოს: ოხტურ, ადჯან, შენი დ წერილი მრწამსი ზეპირად შეგვასწავლე, მეკსიკის თუთიეუშივით სულ იმას გავიძახდით და ეხლა შენ ჯეუანი დარჩი და სიბრიეუვე და უვიცობა ჩვენ გადმოგვიდოდეს!? არა, დიქტატორჯან, ასე არ იქნების მეთქი ვეტეოდი, მაგრამ მე ვინა მეითხავს ბალი ათი შაური დარსო!

ჭო, იმას მოგახსენებდი, დიდებულო სერვანტეს, ლობიოსაგან დასუსტებულმა წამალი მაინც ვერ ვიშოვნე, ბოდოს ერთმა ფელდერალისტმა მასწავლა ხორცი სჭამე და ჯანზე მოგიუვანსო.

წავედი საუსბოში ხორცის საყიდლად, მაგრამ უსბებმა მითხრეს—ჩვენ ქუთაისლებზე ხორცს ადრ ვეიდითო. როგორ თუ არ ეიდით მეთქი, ეხლავე გაჩეკნებთ სეირს-მეთქი და გავიქეცი „უბრავაში“ სანიგდელად.

„უბრავის“ ერთმა მოხელემ მიბრძანა, რა გიყო ჩემო ძმაბიდო, მე ხორცს არა ვჭამ, მწეენსო და აბა მე რავქნა, თუ არ მოგეადონო!—ბატონო, ბური მაინც გამოაცხობინეთ მეფურნეებს, თორემ ლობიოსაგან დასუსტებული ვარ და ფეხზე ძალიან-და ვდგეარ-მეთქი. —არც ბურს გიახლები, შენ ნუ მოიკვდები, ექიმებისაგან აკრძალული მაქვს—ბურს არ მიეკარო.

დაღონებული წამოვსდეს ვაბირებდი, მაგრამ უცბად მოგონდა, რომ ამ წლის სახლის გადასახადი არ შემიტანია და ისევ მივუბრუნდი, ბატონო ეს სახლის გადასახადი მაინც მიიღეთ-მეთქი—ეჰ, შენ აკაშენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმერთმა! ბა ჩქარა კვიტ ნცია დაუწერეთო!

ეჰ, ვიფიქრე, ისევ „ლანსნობა“ უნდა ვიშოვო, რაც უნდა დამეხარჯოს. „ლანსნი“ თუ ვიქნები, რას არ გავაკეთებ!

ამირჩევენ ათთიაქის კომისიაში და მამიდა ჩემის ქალიშვილს ადგილს უშოვნი რამეს. თეატრის კომისიაში ავარჩევინებ თავს და ჭერი ბიჭო!

ჩემს მეგობარს კიდევ სხვა-და-სხვა კომისიებში ამოვარჩევინებ და ხალხში გამოვიყვან! მაგრამ ჯერ შვილი უნდა მოვანათვლინო კარგს ვინმეს, რომ კენჭის ურაში მომეხმარონ-მეთქი, ვიფიქრე და წავედი ერთ პატიოსან კაცთან და შევეხვეწე, შვილი მომინმთლე-მეთქი!—დმერთმანი, მიც სხვას ვანათვლინებო!

ეჰ, რაც იქნება იქნება, არ მინდა ნათლიმამა, ვიური კენჭს-მეთქი და დავიდგი კიდეც უუთი ,,ლანსნობაზე'', მაგრამ ისე გამშურეს, როგორც შავი ეორანი!

ასე, ბატონო სერვანტეს, ენდა გახუხული დავდივარ და კაცი ეურადღებას ადარვინ მაქცევს!..

თქვენი ნიჭის პატივისმცემელი ნიკო ბად—ძე.

დრონი მეფობენ...

სიმღერა მამასახლისისა

„არ მინდა რომ მეფე ვიყო“..
მინდა სოფელს განვაგებდე,
ვით ბატონი და მოხელე
სოფლის ქონით ვსუქდებოდე.

* *
*

მსურს რომ მამასახლისობას,
მტრები ვერ ჩამომართმევდნენ,
სოფლის სარჩო საბადებელს
გზირნი ჩემთვის მოათრევდნენ...

* *
*

მარტო ხორაგს არ ვსჯერდები,
ნუგეშს ვაძლევ ამით ყველას.
ვინც ჩემს ქისას პატივსა სცემს
მოელოდეს ჩემგან შველას...

ჰამლეტი.

მესამე დუმაში

ესეც შენი „მიწა და თავისუფლება“.

გულწრფელი პასუხი ქ ნ აზიანს.

მაგრამ ვიდრე ქ-ნ აზიანს გულწრფელ პასუხს გავცემდე, სჯობს ჯერ მისი გულცხელი წერილი მოვისმინოთ; აი ეს მისი ამონაკნესიც თავიდამ ბოლომდე:

რედგანაც ქართული ანდაზა—„ჭუჭყს რაც ქექავ, იმდენი აყროლდებაო“ მტკიცეთ მწამს, ამიტომ გადავწყვიტე პასუხი აღარ მეძლია „ნიშადური“-ს ლ-ნძღვა გინებაზე, სხვებიც მარიგებდენ „თავი დაანებე თორემ ხვალ დედ-მამასაც შეგაგინებენო, მაგრამ ჩემი სიჩუმე სულ სხვანაირათ მიგიღიათ „ნიშადურისტებს“ და გიფიქრიათ: რაც უნდა მოუგონოთ, სულ ერთია, პასუხს არ მოგვცემს, ჩაგვივლისო... და „ნიშადური-ს საახალწლო №-ში თქვენ, ბ ნო ა. შ—ლ, ისეთი რამე შეგითხუზავთ ჩემ შესახებ, რომ ძალა უნებურათ ვიფიქრე—ცილის წამებისთვის ხომ არა ზიხართ მეტეხის ციხეში? (ეს ადრესი თქვენ ლექსების ბოლოს სწერია), რა არი, ნამდვილ მებრძოლთან ცოტა „ყარტა-ყურტა“ ზის ჩვენ დროში“ თქვენ „საახალწლო ხოტბა-მილოცვაში“ ჩემ შესახებ ასე ათავებთ:

„რაც დასწერა, ისიც უშნოთ
სხვისაგან აქვს მონაპარი!“

რუსები რომ იტყვიან: „ври, да знай мѣру“-ო, სწორეთ თქვენზე ითქმის. ამდენი ხანია ვწერ და ჯერ არც ერთი მიმართულების გაზეთს, ჟურნალს, არც ერთ კრიტიკოსს, არც ერთ რეცენზენტს, არც ერთ მკითხველს ჩემთვის პლაგიატობა არ დაუწამებია (შეგიძლიანთ გადაათვალიეროთ ძველი ჟურნალ გაზეთები) და რაღა თქვენ ეხლა დამიჭირეთ მაგ ზნეში? მაგრამ შეიძლება სხვებზე მეტათ თქვენ უფრო გწყალობდეთ მეხსიერება და ამიტომ გთხოვთ,, ამ წერილის წაკითხვასთანავე, გამოაცხადოთ გაზეთის საშუალებითვე იმ ავტორების და ნაწარმოების სახელი, საიდანაც,

თქვენის აზრით, აღებულია ჩემი ნაწერები. მივანდოთ სანდო და გამოცდილ პირებს და თუ ისინიც დაგნთანხმებიან, მაშინ მე აბა რაღა მეთქმის? წინააღმდეგ შემთხვევაში კი უფლება მენქნება გიწედოთ ის, რისიც ღირსი ხართ!

ველი თქვენ პასუხს. "ნ. აზიანი".

როგორც წერილის თავშივე ვხედავთ ქ-ნი აზიანი „ჭეშმარიტ...“. კაი მიბაძვა კარგია და სასანქებო. თავი დეე „ქალო“, იქნება იმ ერთი მამლისა არ იუოს „ვიეგრიშნი ბიდეთი“ ამოუვიდეს და იპოვოს მარგალიტი“... ადბათ მისმა კალამმა იცის ამგვარ „ქალვაში“ რამდენიც სიტკბოებაა; შრომა მისია, ნაუოფიც მისი იუოს.

მაგრამ, როგორც თვით ქ-ნი ბრძანებს, მისი ნაცნობნი მასზე ჭკვიანები ეოფილან: „სხვებიც მარიგებდნენ დანებე თავი...“ „ქალვასო“. და თუმცა „სხვისა სხვამან უკეთ იცის“, აზიანს მაინცა მათი „დარიგება“ არ დასჯდომია ჭკუაში და შეუტოენია თვის სუეარულს ნაგვში. დეეიცურვოს ვიდრე ჩუგდებენ „თოგ სა ბაწარსა“ და იხსნიან „თვის ჭინჭველა ძმობილსა“.

მესამე: როგორც მისივე ამონაკვნესიდამ სჩანს ამ ცურაობაში ის მოსდებია მეტიხის ციხის კონცხს, სადაც ვიუავ მე მისი სიტუვით შეეურობილი „იქნება ციდისწამებისთვის“. როგორც ხედავთ, თუმცა კი არ ვიცი აზიანი რომელ ჩინშია, მაგრამ მე ეოდიციას შეუეურივარ „ციდის წამებისთვის“, ხოდო ეს „ციდი“ კი დავწამე აზიანს. მაესადამე ერთის მხრივ ერთი გამოქომაგებელი სიმართლისა და ადამსრულებელი ძალა ხოდო მეორე მხრივ აზიანი, რომელიც იხსნა ციდისწამებისაგან სეეტაკმა ანგელოზმა. ფერი ფერსა მადლი... მადლი დმერთს კი არა, მადლიცა და მადლობაც ისევ აზიანს, რო მე მისი „ციდის წამებისთვის“ არ ჩამოამხრჩეს!

არ ვიცოდი შენში ძალა უოფილა.
შენთან ბრძოლა ხათაბალა უოფილა!

მეოთხე: თურმე მეტეხის ციხეში „ნამდვილს მებრძოლთან ბევრი „უარტა-უურტანი ზის ჩვენს დროში“. კარგი და ბატიოსანი. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, თუ მე ერთმა უარტა-უურტამ „ციდი დაგწამეთ“, დანარჩენებმა რალა დაგიშავეს? შესაძლებელია მათ არ ჭქონდათ რამე ნაწერი, რომ ერთხელ გასალებული მეორეთ შეეტეუებინათ ვისთვისმე და მით ლუკმა ბერი ეშოვათ, გაებნენ ჩვენი უდმობელი ცხოვრების ხოვანგში და მით მეტეხის ბორკილებშიაც, და ნუ თუ ამისთვის „უარტა-უურტანი“ არიან?! აბა მაშ შენ აიდე ბერგელმა ქვა და ესროლე მათ! ვნახოთ გაჭბედავ!? მაშ ჯერ გამოიდე ძალი, რომელ თავადსა შიგან შენსა არს!

მეხუთე: და მასთან სწორეთ ის რასაც კინკიბოში გაუგრავს აზიანისთვის: „რაც დასწერა, ისიც უშნოთ, სხვისაგანა აქვს მონაბარი“. ვსთქვი მე მაზე, ე. ი. იმ ქ-ნ აზიანზე, რომელზედაც ეხლაც ვლაპარაკობ... მაგრამ, რა საჭიროა იმაზე დაბარვა, რაც ნათელია თვით... თვით აზიანისთვისაც: ქ ნო ჩემო! განა თქვენ არ იუავით რო, გაზ. „ივერიიდამ“ (დიახ მესხიერება არა მდალატობს), რომელიც ამ ორის წლის წინეთ გამოდიოდა თქვენ, ერთს „აზიანს“, მოჭაბარეთ მოთხრობა, გადმოაკეთეთ ათი სტრიქონი და შარშან დაბეჭდეთ გაზ. „დამბარში?“. თუ ის „აზიანი“, რომელიც თქვენ გაქურდეთ, თქვენ არა ბრძანდებით, მაშინ სხვისთვის მოგიბარავთ და თუ ის თქვენვე ხართ —თქვენი თავისთვის. ორსავე შემთხვევაში მკითხველის წინაშე გამოსდიხართ ქურდი, ანუ, რომ უფრო რბილათა ვსთქვათ: ქურდ-ბაცაცა. ესეც ძრიელ სასტიკია. უფრო დავარბილეთ, გაკოტრებული, მატეუარა მწერალი რომელსაც ის და დარჩენია, რომ თვისი ძველი ნაწარმოები მკლავზე გადიგდოს და „სტარი ადეუი“, ახლათ ასადოს. „მონაბარი“, ვსთქვი, მე და მერე როგორი მონაბარი? არიან გამბედავი ბავშვები, რომელნიც თუ მოიბარავენ, მოიბარავენ მთელს ვაშლს, არიან ისეთებიც, რომელნიც უკბენენ ვაშლს, მოსიციქნი ნ აქა იქ. და აი სწორეთ თქვენ ასეთი „მონაბარი“ ადმოგიჩნდათ. სვითა ვაშლებს ზოგს ბოდოში წაკირგნეთ, ზოგს თავში და გამოვიდა „თქვენი ვაშლი“. ამ თქვენ მიერ წაკირგნილ ვაშლებს წარმოგიდგენთ, და ვეცდები კიდეც რაც შეიძლება მალე შევკრიბო მათი კოლექცია! „რაც დასწერა ისიც უშნოთო“, ამაზედაც მიწერება აზიანი. გაგონილა ხალხნო? უეჭველთ მეც ის უნდა მივიჩნიო „შნოიანთ“ ა რაც აზიანს მიაჩნია!? ესეც ხათაა რალა! როგორც თქვენი წერილის მინაწერიდამ სჩანს ერთს (მხოლოდ ერთს!) თქვენს „ნაწარმოებს“ „ინჟინერსა და დოხტურს“ თქვენ თვითონ იწუნებთ— „შოვინისტურიაო“, მაშ ეს რო მე დამესწრო თქვენთვის ხომ ერთ აურ-ზაურს ასტეხდით, არ იკისრებდით და „ციდისწამებას“ უწოდებდით! ვიქონიოთ მკითხველო მოთმინება და იქნებ რამდენიმე ხნის შემდეგ მარ. თლა თვით ქ-ნმა აზიანმაგვ უწოდოს თავის დანარჩენ „ტოომებსაც“ უგარგისი, ანუ „უშნო“.

კატას რომ კუდზე ფეხს დაადგამენ ხომ იცით ჩხავიდს მოჭუეეებს!

ამით ვათავებ კამათს ქ-ნ აზიანთან, ვინაიდგან: ჩიტი ბრტეუნათ არა ღირს და დევნა მისი ხომ მეტია და მეტი.

ა. შ—ლი.

ვისკენ ვიყოთ?

ფირუზ.—კითხულობ გაზეთში, ოსმალეთი ან სპარსეთი ომობენო?

დარჩო.—ვკითხულობ, მაშ!

ფირუზ.—ახლა, რას იტყვი, ვისკენ ვიყოთ?

დარჩო.—დაიცა, ჯერ ვნახოთ რომელი გაიმარჯვებს... იქნება სულ სხვამ გაიმარჯოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო

(კითხვა-პასუხი)

— ოჰ, მიკირტუმ არაქელიჩ, ეგ რარიგ გამოცვლილ-ხართ?

— უკაცრავათ, მე მიკირტუმ არაქელიჩ არ გახლავარ, მე მქვიან არაქელ მიკირტუმიჩ ტერ-ზარბაზანიანც.

— აკი მოგახსენებთ, გამოცვლილხართ—მეთქი, სახელიც კი გამოგცვლია!

* * *

— რისთვის დააპატიმრეს შენი ქმარი?

— სრულიად უმიზეზოდ, ვექსილზედ სხვისი გვარი და სახელი მეწერა?!...

* * *

— აღაჯან, შენი ჭირიმე ერთი გროში მიბოძე!

— არ მაქვს?

— მაშ, მოდი გვერდს ამომიდექი!

* * *

— არ მესმის, ღმერთმანი რა უწამლო ჩემს თავს!— ვშრომობ როგორც ხარი, მადა მაქვს და ვჭამ როგორც მგელი, ვსაქმობ და დავრწნი როგორც ძაღლი და, ძილი კი თვალს არ მეკარება!...

— მე ვერაფერს გიშველით!.. უკეთესი იქნება პირუტყვების ექიმს, ბეითალს, მიმართოთ! ხარს მგლებს და ძაღლებს ისინი ეარჩენენ!

* * *

— თქვენ მგონი ერთათ სწავლობდით პროფესორ ხანანაშვილთან?

— დიახ, მეხუთე კლასში ერთათ ვსწავლობდით... ბოლოს მე გამომაგდეს და ის კი ეხლაც სწავლობს.

გრი—გრი.

კალანდა[1])

—

გამხიარულდი კუტიდაკ[2]) დღეს ხარ ახალი წელია!
გამხნევდი, დვინო გადაჭარ, საჭეს[3]) მოჭიდე ხელია.
გულს ნუ გაიტეხ, რა ვუფოთ, ცამ გასაჭირი გვარგუნა,
დაჭარი ტუკი[4]) საწნახელს გადეიძახე აგუნა.[5])
მტრებს შეუძახე: ბასიდემ[6]) შემოგიეენოს დვარი თქვა
აწვიმოს თქვენს საკედაროს, ჩვენსკენ იდაროს დარი თქვა.
წუნკლებო კისერს მოგიგრეხთ, დაგჩუჩქავთ[7]) მძღავრი ხელითქვა,
სულ ადრე წამოგაუენებთ, მიქედგაბრიედს ტედით თქვა.
ადარც ერთს ადარ გაკაკნებთ[8]), მაგიოარას გიზამთ უგელას თქვა.
გაეურებიებთ თქვენ სეირს, დაგაზედ მაჭახელას თქვა[9]).
სულ აგისრულებ რაც გითხარ, ვფიცავ ამ წითელ დვინოს თქვა.
და გინც აწ თქვენ შეგიშინდეს, ის ღმერთმა შეარცხვანოს თქვა.

ა.—წითელმთიელი.

[1]) გურულად—ახალი წელი.
[2]) ახალგაზდა და მარჯვე.
[6]) კეფი.
[3]) ვასილმა.
[3]) კეტი.
[4], [5] შელოცვა. აიღებენ კეტს, სცემენ სანწახელს და დაახლოვებით ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს იძახიან.
[7]) დაგამტროვ.
[8]) არ დაგტოვებ ცოცხ ლს.
[9]) ძველებური თოფია.

შემდეგი, „ნიშადურის“ 24 ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა ხეობელის საინტერესო წერილებისა **„სოციალდემოკრატები სოფლად“**.

ყოველთვიური სამეცნ. პედაგ. სალიტ. ჟურნალი

განათლება

წლიური ფასი 5. მ. 1/2 წლ. 3 მ. № 50 კ.
ადრესი: ქართული გიმნაზია, ვერაზე.
რედ.-გამ. ლ. ბოცვაძე.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

24 წიგნი მცირე წლოვანთათვის და 12 მოზრდილთათვის. წლიური ფასი 5 მ. 1/2 წლიწ 2 მ. 50კ.
ადრესი: Головинскій пр. д. Зубалова.
(გოლოვინის ქუჩა, ზუბალაშვილის სახლი)
რედ. მარიამ დემურია,—გამ. თავ. ბ. თუმანიშვილი.

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერ. გაზეთი

ისარი

წლიური ფასი 7 მ. 1/2 4 მან., ერთის თვით 90 კ.
ფული უნდა გამაიგზავნოს ამ აღრესით: **И. С. Агладзе**, Кочубевская, 14.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ჭეჭილი

წლიური ფასი **პრემიით** (13 წიგნი) 5 მ., 1/2 წლ. 3 მან., № 40 კაპ.
ადრესი: Артилерийская, № 5 (არტილერიის ქ.).
რედაქ.-გამომც. ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა.

Ежедневная большая политич. литер. газета

Закавказье

На годъ 6 руб. иногородн. 8 руб на 1/2 г. 3 руб. 50 коп. — 4 руб. 50 коп.
Адресъ: Головинскій просп. домъ Манташева.
Редакторъ-издатель **П. А. Готуа.**

ბატონს ღალა, ხუცესს დრამა, ბოქაულსა ფოსტის ფული,
ბურჟუასაც ზურგს უმაგრებს ესდეკთ დროშა ამარ-თული!

გაუმარჯოს ერთობას

(სიმღერა)

თუ გინდ ამის თქმისათვის
შევხდე უბედურებას,
მაინც ვიტყვი, მერწმუნეთ—
გაუმარჯოს ერთობას!

—

თუ გინდ მსხვერპლად გაუხდე
მტანჯველ ძალ-მომრეობას,
მაინც ვიტყვი თამამად—
გაუმარჯოს ერთობას!

—

ღამჯაბნონ და დამთოკონ
მომაკლონ მხედველობას,
მაინც ვიტყვი უშიშრად—
გაუმარჯოს ერთობას!

—

თუ გინდ სახრჩობელას წინ
ვგრძნობდე ჩემს აღსრულებას,
მაინც ვიტყვი გულდინჯად—
გაუმარჯოს ერთობას!

—

სიკვდილის წამს მოძღვარი
მკითხავდეს აღსარებას,
ვეტყვი უკანასკნელად—
გაუმარჯოს ერთობას!

ფაჩუ მხეიძე.

რას იქ, თუ კი სოციალიზმი უიმისოთ არ მოხდება,
ვიდრე ჩვენს გლეხს მათის ხელით ძვალზე ტყავი არ ასძვრება!

„ეს გემგმაში არ ყოფილა“!

(„მულტატულიდან“)

ამსტერდამის საავადმყოფოში დაშავებული ფეხი უნდა მოეჭრათ ერთი მეზღვაურისათვის.

ექიმმა ოპერაცია დაიწყო. ოპერაციის დროს მეზღვაურს კრინტიც არ დაუძრავს და საშინელ ტკივილებს მხოლოდ ყალიონის წევით იქარვებდა და დროგამოშვებით კბილებს აკრაჭუნებდა.

ექიმი დიახაც გაკვირვებული იყო მეზღვაურის ასეთის იშვიათის სიდინჯით და ჭრილობის შეხვევის დროს ქებით იხსენიებდა მეზღვაურის ვაჟკაცურ მოთმენას და ამტანლობას.

სწორედ ამ დროს მეზღვაურმა საშინლად შეკივლა, თურმე ექიმს წყლულის შეხვევის დროს ნემსით გაეკაწრა.

— როგორ? გაიკვირვა ექიმმა, ნემსის ჩხვლეტაზე ჰყვირით, მაშინ როდესაც უმწვავესი ტკივილები ხმა ამოუღებლივ აიტანეთ!..

— მართალია, მიუგო მეზღვაურმა, მაგრამ, ბატონო ექიმო, ეგ ჩხვლეტა გემგმაში არ ყოფილა.

მეზღვაური მართალი იყო.

ნ. ლორდ—

რედაქტ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

სტამბა „გუტენბერგი“, ოლგისა და სლეპკოვის ქუჩა, № 1.